ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის დეკემბრის 15 | № 26 განყოფილება პირველი | ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:


**დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

მუხ. 201. ა/კსფსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების დამტკიცების შესახებ.
202. არაპატივსადები მიზეზით მუშაობის გაცდენისათვის დათხოვნის შესახებ.
203. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის შეცვლის შესახებ.
204. სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1932 წ. სექტემბრის 17-ს დამტკიცებული გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების ა/კსფსრ ტერიტორიაზე შეფარდების წესის შესახებ.
205. სამინდე გამოსაღების შესახებ.

**დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.**

206. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

**დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

207. ა/კსფსრ-ში აღრიცხვის რეკონსტრუქციის განხორციელებისა და სააღრიცხვო ორგანოების სისტემის განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
208. განჯაში „დაშქესანმშენი“-ს საინჟინერო-სატექნიკო მომუშავეთა სახლის აშენების შესახებ.
209. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სამშენებლო სამუშაოთა საწარმოო და სატარიფო ნორმირების მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირის ლიკვიდაციის შესახებ.
210. ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის არბიტრაჟის შენახვისათვის საჭირო სახსარის შესახებ.
211. ტყავის ნედლეულის დამზადების გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
212. „სოიუზპლოდოოვოშჩ ტარა“-ს ამიერკავკასიის განყოფილების ლიკვიდაციის შესახებ.
213. „სოიუზტარა“-ს ამიერკავკასიის განყოფილების ლიკვიდაციის შესახებ.
214. საბამბე კოლექტიური მეურნეობებისათვის 1932 წელს ა/კ. ტრაქტორცენტრის სისტემის მეშვეობით მიცემული ყოველგვარი საკონტრაქტაციო ავანსით დავალიანების „ზაგოტხლოპოკ“-ის სისტემის მიერ მიღების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



215. ამიერკავკასიის ზოგიერთი დაწესებულებისა და საწარმოს შტატების შემცირებისა და რეორგანიზაციისათვის შემდგომი მუშაობის შესახებ.
216. ოთხფეხი საქონლის ცენტრალიზებული წესით დამზადების მსვლელობისა და 1932 წლის მეოთხე კვარტალის გეგმის ალსრულების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა შესახებ.
217. იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც უზრუნველჰყოფს სახალხო-სამეურნეო გეგმის ალსრულებას 1932 წლის მე-IV კვარტალში და სამომზადებლო მუშაობას 1933 წლის გეგმისათვის—ამ ღონისძიებათა დაკავშირებით 1932 წლის გეგმის პირველი სამი კვარტალის ალსრულებასთან, სამუშაო ხელფასის ფონდების გადამეტებით დახარჯვასთან და სხვადასხვა საწარმოში ზედმეტი მუშა-ძალის ყოლასთან.
218. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ.
219. „სოიუზპლოდოოვოშჩ"-ის ამიერკავკასიის კონტორის ლიკვიდაციის შესახებ.
220. სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალად გადაკეთების შესახებ.
221. სათბობი და საცხები მასალით ა/კსფსრ სატრაქტორო მეურნეობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
222. ა/კსფსრ-ში საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
223. ა/კსფსრ სასოფლო მეურნეობაში აღრიცხვის საქმის გაუმჯობესების შესახებ.

**დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ალსრულების შემმოწმებელი კომისიისა.**

224. საბამბე რაიონებში გადაზიდვათა პერიოდისათვის გზების მზადყოფნის შესახებ.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 201. ა/კსფსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების დამტკიცების შესახებ

ამიერკავკასიის ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ა/კსფსრ სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
ალმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
ალმასრულებელი კომიტეტის მდივნის
თანამდ. ალმასრ. **გ. ვეზიროვი.**

1932 წ. ოქტომბრის 7.
ტფილისი.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## ა/კსფსრ სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.

1. განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის ქონებრივ დავათა გადასაწყვეტად იმ მიმართულებით, რაც უზრუნველჰყოფს სახელშეკრულობო და საგეგმო დისციპლინისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, ა/კსფსრ-ში არსდება სახელმწიფო არბიტრაჟი.

2. სახელმწიფო არბიტრაჟის წესით გადაწყდება განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრული ყველა დავა დადებულ ხელშეკრულებათა გამო, დავა პროდუქციის თვისების გამო და აგრეთვე სხვა ქონებრივი დავა.

სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს, უკეთუ დოკუმენტალურად დამტკიცებულია სახელშეკრულობო დისციპლინის დარღვევა, აღძრას საქმე საკუთარი ინიციატივით.

3. სახელმწიფო არბიტრაჟის წესით ar უნდა იქნეს განხილული:

ა) სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ერთი და იმავე უწყების ორგანოებს შორის აღძრული დავა;

ბ) ერთი და იმავე უწყებისა, სამეურნეო შენაერთის ან კოოპერატიული სისტემის დაწესებულებათა და საწარმოთა შორის აღძრული დავა, ზემდგომი ორგანოს სათანადო ნებართვის გარეშე;

გ) სახელმწიფო ბანკის ოპერაციების გამო აღძრული დავა, უკეთუ სახელმწიფო ბანკი ერთ-ერთი მხარეა ამ დავაში;

დ) რკინის გზით და წყლით გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა, იმ დავათა გარდა, რაც აღიძვრის მასსური საგეგმო გადაზიდვათა გენერალური ხელშეკრულებების განსახორციელებლად წარმოებული გადაზიდვის გამო;

ე) გადასახადებისა ან უდავოდ გადასახდევინებელი სხვა გადასახდელის გამო აღძრული დავა;

ვ) კომუნალური მომსახურეობის გაწევის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებათა გამო აღძრული დავა;

ზ) ერთი ათას მანეთზე ნაკლები თანხის გამო აღძრული დავა.

4. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები არსებობენ:

ა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან—ათი ათას მანეთზე არა ნაკლები თანხის გამო აღძრული დავის გადასაწყვეტად, უკეთუ ერ-ერთი მხარე ფედერატიული მნიშვნელობის მქონე დაწესებულებაა, საწარმო ან ორგანიზაცია; ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკების დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრული დავის გადასაწყვეტად; ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკების ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრული დავის გადასაწყვეტად; აგრეთვე ისეთი დავის გადასაწყვეტად, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე

დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები, და სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკების დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრული დავის გადასაწყვეტად, უკეთუ ასეთ დავათა გადაწყვეტა მინდობილ იქნა სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ, ან სადავო თანხა 25.000 მან. ნაკლებია (ხოლო არა ნაკლებ 10.000 მანეთისა);

ბ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან—ყოველგვარი თანხის გამო—ხოლო ათას მანეთზე მეტისა—აღძრული დავის გადასაწყვეტად, უკეთუ ორივე მხარე—რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე დაწესებულებაა, საწარმო ან ორგანიზაცია, ან უკეთუ ერთის მხრით არის რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე დაწესებულება, საწარმო ან ორგანიზაცია (ხოლო ისე კი, რომ დავაში მონაწილეობას არ იღებდეს მოკავშირე რესპუბლიკის ან საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე დაწესებულება, საწარმო ან ორგანიზაცია); უწყებული რესპუბლიკის სხვადასხვა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების დაწესებულებათა, საწარმოთა ან ორგანიზაციათა შორის აღძრული დავის გადასაწყვეტად და აგრეთვე ისეთი დავის გადასაწყვეტად, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ამა მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული მხარენი, უკეთუ ასეთი დავის გადაწყვეტა მინდობილ იქნა—კუთვნილებისამებრ—სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის თუ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ, ან უკეთუ სადავო თანხა 10.000 მანეთზე ნაკლებია;

გ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან—უწყებული ავტონომიური რესპუბლიკისა თუ ოლქის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის ათას მანეთზე არა ნაკლები თანხის გამო აღძრული დავის გადასაწყვეტად და აგრეთვე ისეთი დავის გადასაწყვეტად, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული მხარენი, უკეთუ ასეთი დავის გადაწყვეტა მინდობილ იქნა—კუთვნილებისამებრ—სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ.

5. სახელმწიფო არბიტრაჟი ეწყობა სახელმწიფო არბიტრების შედგენილობით, რომელთაც პერსონალურად ჰნიშნავენ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები—კუთვნილებისამებრ.

სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად იგივე ორგანოები ჰნიშნავენ მთავარ არბიტრს და მის მოადგილეს.

6. საქმეს გადასწყვეტენ მთავარი არბიტრის მიერ ამ საქმისათვის დანიშნული არბიტრი და მოდავე მხარეთა პასუხისმგებელი წარმომადგენელი (დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე, გამგეობის წევრი) თითო თვითეულ მხარიდან.

უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, საკითხს გადასწყვეტს არბიტრი.

რთულ საქმეზე მთავარ არბიტრს შეუძლიან არბიტრაჟის შედგენილობა შეავსოს დამატებით ორი არბიტრით.

უკეთუ ერთი ან ორივე მხარის წარმომადგენელი არ გამოცხადდა საქმე შეიძლება გადაწყდეს უიმათოდ.

**შენიშვნა.** ისეთ საქმეზე, რომელშიაც მოპასუხედ სსრკ-სა, ა/კსფსრ-სა, სხვა მოკავშირე რესპუბლიკისა და აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტზე და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებაა, სახელმწიფო არბიტრაჟის სხდომაზე მიწვეულ უნდა იქნეს სათანადო ფინანსთა სახალხო კომისარიატის ან ადგილობრივი საფინანსო ორგანოს წარმომადგენელი.

7. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს უფლება აქვთ მოსთხოვონ ყველა დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას საჭირო დოკუმენტებისა, ცნობებისა და მასალის წარდგენა, დაიბარონ თანამდებობის პირნი განმარტების მისაცემად, დანიშნონ ექსპერტიზა და სხვა მისთ.

8. დავის გადაწყვეტის დროს სახელმწიფო არბიტრაჟი სახელმძღვანელოდ იღებს კანონებს და სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების განკარგულებებს, აგრეთვე სსრკ-ის ეკონომიური პოლიტიკის საერთო პრინციპებს.

9. სახელმწიფო არბიტრაჟმა მხედველობაში უნდა იქონიოს საგეგმო და სახელშეკრულობო დისციპლინის სასტიკი დაცვის აუცილებლობა და სამეურნეო ორგანოების მატერიალური პასუხისმგებლობის და სამეურნეო დარგის მომუშავეთა პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერება ხელშეკრულებათა და გარიგებათა შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის.

სახელშეკრულობო და საგეგმო დისციპლინის ყველა გამოაშკარავებულ სერიოზულ დარღვევას და სხვა ნაკლოვანებას დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობაში სახელმწიფო არბიტრაჟი აცნობებს მასზედ მაღლა მდგომ ორგანოებს ან მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს, ხოლო სათანადო შემთხვევაში პროკურატურას.

უკეთუ საქმის განხილვის დროს გამოაშკარავდა საბუხჰალტრო აღრიცხვის აწეწილობა ან ანგარიშების არაწესიერი ორგანიზაცია,—მთავარ არბიტრს შეუძლიან დაადოს ამ საქმისათვის პასუხისმგებელ სამეურნეო ორგანოს ხელმძღვანელს და მთავარ ბუხჰალტერს ფულადი გადასახდელი ერთი თვის ჯამაგირის ფარგლებში.

10. სახელმწიფო არბიტრაჟის ქვემდგომი ორგანოების გადასაწყვეტად გადაცემულ დავათა ხაზით (მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქ.) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟებს—კუთვნილებისამებრ—ენარჩუნებათ უფლება—შეამოწმონ, გააუქმონ და შესცვალონ გადაწყვეტილება ერთი თვის ვადის განმავლობაში ამ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

11. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ განიხილება.

12. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებას ასრულებენ თვით მხარენი სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ დანიშნულ ვადაზე. თვით მხარეთა მიერ განსაზღვრულ ვადაზე შეუსრულებელი გადაწყვეტილება აღისრულება იძულებითი წესით. ის თანამდებობის პირი, რომელიც გადაწყვეტილებას არ შეასრულებს, მიეცემა პასუხისგებაში სადისციპლინო ან სისხლის სამართლის წესით.

13. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოს გადაწყვეტილებით დადგენილი გადახდევინება სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების მიმართ მოხდება სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანების თანახმად და მიიქცევა ამ დაწესებულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ასსიგნებზე.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოს ბრძანება იძულებითი აღსრულების თაობაზე გათანასწორებულია ჩეკ-ასსიგნობასთან და სხვა საგადასახადო დოკუმენტებთან, რაც დადგენილია ხარჯთაღრიცხვით ასსიგნული თანხების ხარჯვისათვის, და იგი ეგზავნება სახელმწიფო ბანკის სათანადო დაწესებულებას ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების ან ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მეშვეობით (კუთვნილებისამებრ), რათა მათ აღნიშნონ ხარჯთაღრიცხვის ის საბიუჯეტო დანაყოფი, საიდამაც აღსრულებულ უნდა იქნეს ბრძანება.

**შენიშვნა 1.** ამა მუხლში დადგენილი გადახდევინების წესი არა ვრცელდება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალურ ან სხვა, ბიუჯეტ-გარეშე სახსრებზე; ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების ამ სახსრებზე გადახდევინების მიქცევა მოხდება საერთო, მე-12 მუხლში აღნიშნული წესით.

**შენიშვნა 2.** სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანება სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებაზე გადახდევინების მიქცევის შესახებ აღისრულება სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან ერთად, გამოცემულ ინსტრუქციაში აღნიშნული წესით.

14. ზედამხედველობის გაწევა სახელმწიფო არბიტრაჟის მოქმედებისათვის ეკისრება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—კუთვნილებისამებრ.

დასახელებულ ორგანოებს უფლება აქვთ ზედამხედველობის წესით გააუქმონ ან შესცვალონ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება ან გადასცენ ხელახალი განხილვისათვის.

მთავარ არბიტრს უფლება აქვს, ერთი თვის ვადის განმავლობაში გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან, შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება და გადასცეს საქმე სახელმწიფო არბიტრაჟს ხელახალი განხილვისათვის.

15. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს გაუწიოს ინსტრუქტირება ა/კსფსრ შედგენილობაში შე-

მავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟებს და ა/კსფსრ უწყებებთან არსებულ არბიტრაჟებს, აგრეთვე მოიწვიოს რესპუბლიკანური (ავტონომიური ოლქებისა) და საუწყებო არბიტრაჟების პერიოდული თათბირები და გამოიკვლიოს მათი საქმიანობა.

16. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟებს უფლება აქვთ გაუწიონ ინსტრუქტირება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟებს და რესპუბლიკანურ საუწყებო არბიტრაჟებს.

17. სახელმწიფო არბიტრაჟებში წარმოებულ საქმეებზე გადაიხდევინება ერთიანი სახელმწიფო ბაჟი.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**202.** არაპატივსადები მიზეზით მუშაობის გაცდენისათვის დათხოვნის შესახებ.

„არაპატივსადები მიზეზით მუშაობის გაცდენისათვის დათხოვნის შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 15-ის დადგენილების შესაბამისად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „ვ" პუნ. ამოშლილ იქნეს:

2. აღნიშნულ კოდექსს დაემატოს $47^1$ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„$47^1$. უკეთუ მომუშავე, თუნდაც ერთ დღეს, არ გამოცხადდა სამუშაოზე არაპატივსადები მიზეზით, იგი დათხოვნილ უნდა იქნეს საწარმოდან თუ დაწესებულებიდან—მისთვის, როგორც უწყებული საწარმოს თუ დაწესებულების მომუშავისათვის, მიცემული სასურსათო ან სამრეწველო საქონლის ბარათებით სარგებლობის უფლების ჩამორთმევით და აგრეთვე მისთვის უწყებული საწარმოს ან დაწესებულების სახლში მიჩენილი ბინით სარგებლობის უფლების ჩამორთმევით".

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის
თანამდ. აღმასრ. გ. ვეზიროვი.

1932 წ. ნოემბრის 25.
ტფილისი.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**203.** ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) 36 მუხლის მე-5 აბზაცი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„უკეთუ საწარმოო საჭიროება მოითხოვს (კერძოდ—მოცდენის შემთხვევაში) სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულებისა, საწარმოს და მეურნეობის ადმინისტრაციას შეუძლიან გადაიყვანოს მომუშავე ვადით ერთ თვემდე, ხოლო მოცდენის შემთხვევაში—მთლად ამ მოცდენის განმავლობაში, სხვა სამუშაოზე იმავე ან სხვა დაწესებულებასა, საწარმოსა და მეურნეობაში იმავე ადგილას. უკეთუ იმ მუშაობისათვის, რაზედაც გადაყვანილია მომუშავე, შრომის სასყიდელი წინანდელი სამუშაოს სასყიდელზე ნაკლებია, გადაყვანილს ენარჩუნება მისი წინანდელი სამუშაოს საშუალო საშოვარი. არაპატივსადები მიზეზით უარისთქმა ასეთ გადაყვანაზე შრომის დისციპლინის დარღვევად ითვლება“.

ბ) 37 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„37. დაქირავებულის გადაყვანა ერთი საწარმოდან მეორე საწარმოში, ან გადანაცვლება ერთი ადგილიდან მეორე ადგილას, თუნდაც საწარმოსთან ან დაწესებულებასთან ერთად, შეიძლება მხოლოდ მუშის თუ მოსამსახურის თანხმობით; უკეთუ ასეთი თანხმობა არ არის, შრომის ხელშეკრულება შეუძლიან მოშალოს თვითეულმა მხარემ; ამასთანავე, დაქირავებულს ორივე შემთხვევაში ეძლევა გამოსასვლელი დახმარება 89 მუხლის თანახმად.

**შენიშვნა.** 37 მუხლის მოქმედება არა ვრცელდება ისეთი გადაყვანის შემთხვევაზე, რაც გათვალისწინებულია 36 მუხლის მე-5 აბზაცით“.

გ) 68 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„68. იმ მოცდენის დროისათვის, რაც მოხდა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და მეურნეობაში მომუშავის მიზეზით, სამუშაო ხელფასი არ გაიცემა.

იმ მოცდენის დროისათვის, რაც მოხდა არა მომუშავის მიზეზით, სამუშაო ხელფასი გაიცემა სათანადო კვალიფიკაციის მომუშავის სადროისო სასყიდლის ნახევარი სატარიფო განაკვეთის რაოდენობით.

სამეტალურგო, სამთო სამადნო და საკოქსო მრეწველობაში სასყიდელი არა მომუშავის მიზეზით მოცდენისათვის გაიცემა მისი სატარიფო განაკვეთის ორი მესამედის რაოდენობით“.

დ) 68-¹ მუხლი, ორი შენიშვნის დამატებით, მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„68-¹. სრული ბრაკისათვის, რაც მოხდა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და მეურნეობაში მომუშავის მიზეზით, სასყიდელი არ გაიცემა.

ნაწილობრივი ბრაკისათვის, რაც მოხდა მომუშავის მიზეზით (უკეთუ პროდუქცია თავისი თვისებით არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნას), სასყიდელი გაიცემა შემცირებული რაოდენობით. ასეთ შემთხვევაში პროდუქციის ვარგისობის პროცენტს და სასყიდლის რაოდენობას ნახევარ სატარიფო განაკვეთამდე განსაზღვრავს ადმინისტრაცია.

სრული ბრაკისათვის, რაც მოხდა არა მომუშავის მიზეზით, სასყიდელი გაიცემა ამ მომუშავის სადროისო სასყიდლის სატარიფო განაკვეთის ორი მესამედის რაოდენობით; ნაწილობრივი ბრაკისათვის არა მომუშავის მიზეზით სასყიდელი გაიცემა შემცირებული შეფასებით იმის კვალობაზე, თუ რამდენად ვარგა პროდუქცია; პროდუქციის ვარგისობის პროცენტს და სასყიდლის რაოდენობას განსაზღვრავს ადმინისტრაცია; ამასთანავე, სასყიდელი არ შეიძლება იყოს ამ მომუშავის სადროისო სასყიდლის სატარიფო განაკვეთის ორ მესამედზე მცირე.

**შენიშვნა 1.** დასამუშავებელი ლითონის დეფექტის გამო (მასალის თვისების შეუსაბამობა, ბრაკიანობა ან ბზარი ლითონში) მომხდარი ნაკეთობათა ბრაკისათვის, რაც მას შემდეგ აღმოაჩნდა, როდესაც უკვე დეტალების დამუშავებასა თუ აწყობას დასჭირდა არა ნაკლებ ერთი სამუშაო დღისა, სასყიდელი გაიცემა ნორმალური ნაჭრობითი შეფასების კვალობაზე.

**შენიშვნა 2.** არა მომუშავის მიზეზით მომხდარი ბრაკისათვის, რაც ტექნიკური კონტროლის ორგანოს მიერ ნაკეთობის მიღების შემდეგ აღმოჩნდა, სასყიდელი მომუშავეს მიეცემა ვარგისი ნაკეთობის თანაბრად".

ე) დაემატოს კოდექსს 68-² მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„68-². ახალი წარმოების ათვისების პერიოდში (დეტალებისა, დაზგებისა, მანქანებისა, მოტორებისა, ტრანსფორმატორებისა, ტურბინებისა და სხვა მისთ. დამუშავება) უბრალო ბრაკისა და მომუშავის უმიზეზოდ მომხდარი ბრაკისათვის სასყიდელი როგორც ახალ საწარმოში, ისე უკვე მომქმედ საწარმოში გაიცემა მომუშავის სადროისო სასყიდლის სატარიფო განაკვეთის ანგარიშის კვალობაზე.

ახალი წარმოების ათვისების ვადას 3 თვის ფარგლებში თვითეული საწარმოსთვის განსაზღვრავს სათანადო სამეურნეო შენაერთი, პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით".

ვ) 83 მუხლი, შენიშვნის დამატებით, მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„83. მომუშავე ქონებრივად პასუხს აგებს მასალისა და ნაკეთობისათვის და მისთვის სარგებლობად მიცემული საწარმოს თუ დაწესებულების ქონებისათვის (სპეცტანსაცმელი, ინსტრუმენტი, საზომი ხელსაწყო და სხვა მისთ.). ამ პასუხისმგებლობას მომუშავე ეწევა მასალის, ნაკეთობის და ქონების როგორც

გატაცებისა თუ განზრახ გაფუჭებისათვის, ისე დაუდევრობით დაკარგვისა და გაფუჭებისათვის.

მომუშავის პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრება თვითეული სახის ქონებისათვის ცალკე სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით, რაც გამოიცემა პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით.

მომუშავის სარგებლობად გადაცემულ ქონებისათვის პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრის დროს ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს ამ ქონების ფაქტიური გაცვეთილობა.

მომუშავისათვის გადასახდევინებელი თანხები დაიჭირება უშუალოდ ადმინისტრაციის განკარგულებით სამუშაო ხელფასიდან და ყველა სხვა თანხიდან, რაც მომუშავეს ერგება საწარმოსა თუ დაწესებულებისაგან. მომუშავეს შეუძლიან განასაჩივროს ეს დაჭერა ან დანაჭერის რაოდენობა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში.

ქონებრივი პასუხისმგებლობის დამოუკიდებლად—ადმინისტრაციას შეუძლიან, მტაცებლობისა და განზრახ გაფუჭების შემთხვევაში, მისცეს მომუშავე პასუხისმგებლობაში სისხლის სამართლის წესით ან დაადვას მას გადასახდელი ტაბელის კვალობაზე.

**შენიშვნა.** ადმინისტრაცია მოვალეა მიუჩინოს მომუშავეს სპეცტანსაცმელისა, ინსტრუმენტისა, საზომო ხელსაწყოს და სხვა მისთ. შესანახი ადგილი—საკეტი შკაფი ან ყუთი, რაც უზრუნველჰყოფს ქონების დაცვას.

ცალკეულ შემთხვევაში (მაგალითად—ტყის დამზადებაზე) კოლექტიური ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სპეცტანსაცმელის, ინსტრუმენტის და სხვა მისთ. შესანახად გადაცემა თვით მომუშავისათვის. ასეთ შემთხვევაში სპეციალურ შესანახ ადგილს ადმინისტრაცია არ იძლევა და მთელი პასუხისმგებლობა ქონების შენახვისათვის ეკისრება მომუშავეს".

ზ) დაემატოს კოდექს 83-² მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„83-². თვითეულჯერ სასყიდლის გაცემისას დასაჭერი თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს მომუშავის ხვედრი თანხების 25%-ს. უკეთუ მომუშავეს სამუშაო ხელფასიდან უნდა დაეჭიროს აგრეთვე სხვა რამ თანხებიც, ყველა დასაჭერი თანხის საერთო რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს მომუშავის ხვედრი თანხების 50%-ს.

დაჭერა მოხდება თვითეულჯერ სასყიდლის გაცემისას ვალის მთლად გასტუმრებამდე. უკეთუ მომუშავის დათხოვნისას დასაჭერი თანხა ზემოაღნიშნული რაოდენობით ვერა ჰფარავს მთელ ვალს, დარჩენილი ნაწილი გადაიხდევინება ადმინისტრაციის მიერ მარტივი წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად".

თ) დაემატოს კოდექსის 1-ლ მუხლს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 2.** 36 მუხლის მე-5 აბზაცისა, 67, 68, 68-¹ მუხლებისა—შენიშვნებითურთ, და 68-², 83 და 83-² მუხლების მოქმედება არა ვრცელდება კერძო (მათ რიცხვში საკონცესიო) საწარმოსა და მეურნეობაზე.

ალნიშნულ მუხლებში გათვალისწინებული საკითხები კერძო საწარმოთა და მეურნეობათა მიმართ რეგულირდება სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის წესებით, რაც გამოიცემა პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით".

II.

გაუქმებულ იქნეს: ა) ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 34-$^{16}$, 34-$^{37}$ და 87 მუხლები;

ბ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 19-ის დადგენილების 1-ლი მუხლი და მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცი (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 164);

გ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 11-ის დადგენილების სათაურის პირველი ნაწილი, შესავალი ნაწილი და აგრეთვე 1-ლი და მე-3 მუხლები (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 52);

დ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 27-ის დადგენილება (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. მე-17 №-ი, მუხ. 130).

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თან. აღმასრ. გ. ვეზიროვი.

1932 წ. დეკემბრის 7.
ტფილისი.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**204.** **სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1932 წ. სექტემბრის 17-ს დამტკიცებული გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების ა/კსფსრ ტერიტორიაზე შეფარდების წესის შესახებ.**

გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების 21, 28 და 32 მუხლების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 69 №-ი, მუხ. 410) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1) განსაზღვრონ ზემოაღნიშნული დებულების მე-18, 19 და 20 მუხლების შეფარდების წესი და დაწვრილებით აღნიშნონ ამ მუხლებში ნაჩვენები სხვადასხვაგვარი ქონების რაოდენობა, რაზედაც არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა.

2) განსაზღვრონ მენარჩენის ქონების აწერისა, შეკვრისა და გაყიდვის წესი და აგრეთვე საწარმოთა დახურვის წესი, როგორც გადასახდელი ღონისძიება.

3) განიხილონ საკითხი სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი იმ ქონების ნუსხის დამატების შესახებ, რომლის გაყიდვაც სავალდებულოა განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა და ორგანიზაციათა მეშვეობით.

II. ამ დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისათანავე გაუქმებულ იქნეს:

1) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ივლისის 21-ის დადგენილება „ა/კსფსრ ტერიტორიაზე გადასახადთა გადახდევინების დებულების მე-17 მუხლის შეფარდების წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-7 №-ი, მუხ. 694);

2) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. აგვისტოს 9-ის დადგენილება „სახელმწიფო სათესლე სესხის ნარჩენისათვის ქონების გაყიდვის წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-9 №-ი, მუხ. 703);

3) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 21-ის დადგენილება „სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების მენარჩენეთა ქონების აწერისა, შეკვრისა და გაყიდვის წესების დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 2);

4) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. მაისის 24-ის დადგენილება „სოფლად სავალდებულო საგადასახადო დაზღვევის სასყიდლის ნარჩენის იძულებითი წესით გადახდევინების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-5 №-ი, მუხ. 661).

III. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეუთანხმონ ერთი დეკადის ვადაზე მომქმედი კანონმდებლობა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1932 წ. სექტემბრის 17-ს დამტკიცებულ დებულებას გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ლოგაძოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის თან. აღმსრ. **გ. ვეზიროვი.**

1932 წ. დეკემბრის 7.
ტფილისი.

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**205.** სამინდე გამოსაღების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სასყიდელი მარცვლეულის დაფქვისა და ბურღულად გადამუშავებისათვის, ბრინჯის გარცვნისა და საზეთე თესლეულის გადამუშავებისათვის გადაიხდევინება ნატურალური ფორმით (სამინდე გამოსაღები). ამ ფორმით სასყიდლის გადახდევინება სავალდებულოა ყველა წისქვილისა და საფქვავ-საბურღულე, ბრინჯსაცრცვენელ და ზეთსახდელ საწარმოსათვის, იმისდამიუხედავად, რამ ძალოვნებისაა იგი და ვის ეკუთვნის.

2. შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოსთან უფლება აქვს გაანთავისუფლოს ცალკეული უწყება და ცალკეული სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია სამინდე გამოსაღების გადახდევინებისაგან და მარცვლეულის, ბრინჯისა და საზეთე თესლეულის გადამუშავების სასყიდელი დააწესოს მათთვის ფულადი ფორმით.

3. თვითეული ცენტნერი დასაფქველი მარცვლეულის სამინდე გამოსაღების განაკვეთი შემდეგია:

| | | |
|---|---|---|
| ხორბლისა | $7\frac{1}{2}$ | კილოგრამი |
| ბრინჯისა | 10 | „ |
| სიმინდისა | 10 | „ |
| ქერისა | 10 | „ |
| საზეთე თესლეულისა | 20 | „ |

4. 1-ლ მუხლში აღნიშნული ყველა საწარმო მოვალეა აწარმოოს სამინდე გამოსაღების სახით მიღებული მარცვლეულის (ბრინჯის) და საზეთე თესლეულის განსაკუთრებული აღრიცხვა და ჩააბაროს იგი მთლად „ზაგოტზერნო“-ს ამიერკავკასიის დამზადებელ პუნქტებს ან აღნიშნული კონტორის განწესებით—სხვა ორგანოებს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (ა/კსფსრ სკს-თან) მიერ დადგენილ ფასად.

შენიშვნა. იმ ადგილებში, სადაც „ზაგოტზერნო“-ს არა აქვს თავისი მიმღები პუნქტები, ამ ორგანიზაციას შეუძლიან მიიზიდოს სამომხმარებლო კოოპერაცია ხელშეკრულების საფუძველზე.

5. სამინდე გამოსაღების წლიურ გეგმებს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებზე დაყოფით და თვეებზე საკალენდრო დანაწილებით, შეიმუშავებს „ზაგოტზერნო“-ს ამიერკავკასიის კონტორა და დაამტკიცებს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული ა/კსფსრ სკს-თან.

სამინდე გამოსაღების წლიურ გეგმებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფარგლებში ანაწილებენ „ზაგოტზერნო-ს რესპუბლიკანური კონ-

ტორები და ამტკიცებენ შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულნი რესპუბლიკის სკს-მთან.

6. სამინდე გამოსაღების დამტკიცებული გეგმის შესაბამისად „ზაგოტზერნო“, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით, განსაზღვრავს თვითეული ცალკე საწარმოსათვის სამინდე გამოსაღების მინიმალურ რაოდენობას, რაც საწარმომ უნდა ჩააბაროს სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში, კულტურებისა და ჩაბარების ვადის აღნიშვნით, რაზედაც საწარმოს ეგზავნება შეტყობინება.

7. უკეთუ საწარმო არ ჩააბარებს სამინდე გამოსაღებს განსაზღვრული რაოდენობით და კულტურით და დადგენილ ვადაზე, სამინდე გამოსაღების ჩაუბარებელი ნაწილი გადაიხდევინება ნატურად უდავო წესით.

8. საწარმოს (მუხ. 1) პატრონს შეუძლიან, ათი დღის ვადაზე შეტყობინების მიღების დღიდან, განასაჩივროს სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში ჩასაბარებელი სამინდე გამოსაღების რაოდენობის განსაზღვრა.

საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს სამინდე გამოსაღების ჩაბარებას ან გადახდევინებას.

9. მიღებული სამინდე გამოსაღების უკანონოდ დახარჯვისათვის საწარმოს პატრონი და მოიჯარე, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოს თანამდებობის პირი პასუხს აგებს როგორც სახელმწიფო ქონების გაფლანგვისათვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად, და ვალდებულია აუნაზღაუროს სახელმწიფოს მიყენებული ზიანი.

სამინდე გამოსაღების წესების სხვაგვარი დარღვევისათვის (გამოსაღების გადაუხდევინებლობა, სასყიდლის ფულად გადახდევინება, ერთი კულტურის მეორე კულტურად შეცვლა და სხვა მისთ.) კერძო საწარმოს პატრონი და მოიჯარე პასუხს აგებს სისხლის სამართლის ან საადმინისტრაციო წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად.

შენიშვნა. სათანადო შემთხვევაში გადახდევინებული ფულადი ჯარიმის 75%-ი დანიშნულია წისქვილების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის, ხოლო დანარჩენი 25%-ი მიიქცევა ადგილობრივ ბიუჯეტში.

10. მარცვლეული კულტურების ჩაბარებული სამინდე გამოსაღების საერთო რაოდენობის 10%-ი გადაირიცხება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში ადგილობრივი მომარაგების საჭიროებისათვის.

11. იმ თანხებიდან, რაც ერგებათ საწარმოთ ჩაბარებული სამინდე გამოსაღებისათვის, სახელმწიფო საწარმოთა გარდა, „ზაგოტზერნო“, ანგარიშის გასწორების დროს, იჭერს ანარიცხს 10%-ის რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო საფქვევ საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ფონდში.

12. ინსტრუქციას ამა დადგენილების მიხედვით გამოსცემს 10 დღის ვადაზე შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული ა/კსფსრ სკს-თან.

13. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისათანავე უქმდება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 27-ის დადგენილება „სამინდე გამოსაღების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 146).

14. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის თან. აღმსრ. გ. ვეზიროვი.

1932 წ. დეკემბრის 7.
ტფილისი.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

**206.** ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოსცენ 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების საფუძველზე დებულება რესპუბლიკანური რადიომაუწყებლობის კომიტეტების შესახებ.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების სამოქმედოდ შემოღებისათანავე გაუქმებულ იქნეს:

ა) სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული ამიერკავკასიის რადიო-საბჭოს დებულება (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-20 №-ი, მუხ. 229);

ბ) მე-2 მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წ. იანვრის 8-ის დადგენილებისა „ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტის მოწყობის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. მე-2 № ი, მუხ, 16).

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თან. აღმას. გ. ვეზიროვი.

1933 წ. დეკემბრის 7.
ტფილისი.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტის შესახებ.**

1. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მთლად რადიომაუწყებლობის საქმისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსდება რადიომაუწყებლობის კომიტეტი.

2. ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტი, არის-რა უმაღლესი სადირექტივო ორგანო, რომელიც ა/კსფსრ-ში ჰგეგმავს და აწესრიგებს რადიომაუწყებლობის საქმეს, ანხორციელებს თავის მუშაობას ადგილებზე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების რადიომაუწყებლობის კომიტეტების მეშვეობით, ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების მიერ რადიომაუწყებლობის კომიტეტებისათვის გადაცემულ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა ბაზისზე.

3. რესპუბლიკანური რადიომაუწყებლობის კომიტეტები მოეწყობიან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან რადიომაუწყებლობის ოპერატიული მუშაობის ჩასატარებლად სათანადო რესპუბლიკების ტერიტორიაზე და მოქმედობენ განსაკუთრებული დებულების თანახმად, რასაც დაამტკიცებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები—კუთვნილებისამებრ.

4. რადიომაუწყებლობის კომიტეტის გამგებლობის საგანს შეადგენს.

ა) შეიმუშაოს რადიომაუწყებლობის საერთო-საამიერკავკასიო გეგმა რესპუბლიკანური რადიომაუწყებლობის კომიტეტების მიერ წარდგენილი რადიომოუწყებლობის გეგმების პროექტების თანახმად; დაუკავშიროს ეს გეგმა საერთო-საკავშირო რადიომაუწყებლობის გეგმას; დაამტკიცოს საერთო-საამიერკავკასიო რადიომაუწყებლობის გეგმა და თვალყური ადევნოს ამ გეგმის აღსრულებას;

ბ) შეიმუშაოს რადიომაუწყებლობის და მისი ორგანიზაციის საკითხების შესახები კანონპროექტები და მისცეს დასკვნა ა/კსფსრ მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი კანონპროექტების თაობაზე;

გ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს პოლიტიკურ-განმანათლებელ და სამეცნიერო-საგანმათლებლო მუშაობას რადიოთი და მოაწყოს ეს მუშაობა;

დ) შეიმუშაოს ღონისძიებანი გაზეთებისა, ჟურნალებისა და სხვა გადასაცემი ტექსტებისა, ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებებისა და აგრეთვე რადიო-სურათების გამოცემისა და რადიოთი გავრცელებისათვის; შეიმუშაოს ღონისძიებანი თვითგანათლებისათვის და როგორც ცალკეული ლექციებისა, ისე ციკლური მოხსენებების რადიოთი გადაცემისათვის; მოაწყოს რეკლამები რადიოთი; მოაწყოს სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოები რადიომაუწყებლობის საკითხების გამო და სხვა მისით.;

ე) განკარგოს ყველა კრედიტები რადიომაუწყებლობის ხაზით;

ვ) განიხილოს რადიომაუწყებლობის შესახები ყველა სხვა საკითხი, რასაც კომიტეტში შეიტანენ კავშირგაბმულობის სამმართველოები და სხვა უწყებათა ადგილობრივი ორგანოები; აგრეთვე განიხილოს და შეაფასოს არსებითად რადიომაუწყებლობის ხაზით კავშირგაბმულობის ტექნიკურ საშუალებათა მშენებლობისა და განვითარების გეგმები, რაც კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში აუცილებლად უნდა წარუდგინოს კომიტეტს და მისცეს დასკვნა ამ გეგმების თაობაზე.

5. კომიტეტის სათავეში სდგას კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ამ თანამდებობაზე ამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

6. ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტს აქვს შემდეგი ძირითადი სექტორები:

ა) საგეგმო-საფინანსო-საადმინისტრაციო-სამეურნეო სექტორი;

ბ) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო და კადრების სექტორი;

გ) სამხატვრო-პოლიტიკური მაუწყებლობის სექტორი;

დ) სოციალურ-კულტურულ ტექნიკური პროპაგანდის სექტორი;

ე) მასსურ-პოლიტიკური მაუწყებლობის სექტორი;

ვ) საბავშვო მაუწყებლობის სექტორი.

7. კომიტეტის წევრთა შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარე და მისი მოადგილე, რომელთაც ამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი; მე-6 მუხლში აღნიშნული ძირითადი სექტორების გამგენი და სსრკ-ის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მოადგილე—კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის უფლებით. კომიტეტს შეუძლიან მიიღოს კოოპტაციის წესით თავის წევრთა შედგენილობაში აგრეთვე რადიომაუწყებლობის საქმით დაინტერესებული სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

8. მიმდინარე მუშაობის წარმოებისათვის კომიტეტის პლენუმი გამოჰყოფს პრეზიდიუმს კომიტეტის თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და არა უმეტეს კომიტეტის 3 წევრის შედგენილობით.

9. ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტი ექვემდებარება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს და თავისი მოქმედებით ანხორციელებს როგორც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, ისე სრულიად საკავშირო რადიომაუწყებლობის კომიტეტის დადგენილებებსა და დირექტივებს.

10. ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტის შესანახი ხარჯები შეიტანება საკავშირო რადიომაუწყებლობის კომიტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ა/კსფსრ ფედერატიულ ბიუჯეტში.

11. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომიტეტების ხარჯები რესპუბლიკანური მაუწყებლობისათვის დაიფარება ამიერკავკასიის კომიტეტის ხარჯთაღრიცხვით და რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტებით.

12. რადიომაუწყებლობის კომიტეტს აქვს იურიდიული პირის უფლებანი და საღერბო ბეჭედი თავისი სახელწოდებით.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 207. ა/კსფსრ-ში აღრიცხვის რეკონსტრუქციის განხორციელებისა და სააღრიცხვო ორგანოების სისტემის განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ვინაიდან უაღრესი მნიშვნელობა აქვს სწორე ციფრების მიღებას, რადგანაც იგი უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ხაზით როგორც დირექტივებისა და გეგმების აგებას, ისე საწარმოო პროცესებისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევას, ამიტომ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენდოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს—იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიებანი სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოების სათანადო კვალიფიკაციის კადრებით დაკომპლექტებისათვის და ამ სამმართველოს სისტემაში იმ მომუშავეთა დაბრუნებისათვის, რომელნიც წავიდნენ ყოფილი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებიდან 1928 წლის იანვრის 1-ის შემდეგ; ამასთანავე,სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უნდა მიეცეს მომუშავეთა შერჩევის უფლება.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—უზრუნველჰყონ:

ა) სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებისათვის ყოფილი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მთელი ქონებისა, ბიბლიოთეკისა და საარქივო მასალის გადაცემა, ვის გამგებლობაშიაც უნდა იყოს იგი; და სახალხო-სამეურნნო აღრიცხვის ორგანოებისათვის საჭირო სადგომის მიჩენა;

ბ) ა/კსფსრ-ში სახალხო-სამეურნეო პროცესების შესწავლისა და გაშუქების ხაზით სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ მთელი დამზადებუ-

ლი მასალისა და აგრეთვე აღრიცხვის სფეროში საჭირო სახელმძღვანელოებისა და ბროშურების გამოცემა სათანადო გამომცემლობათა მეშვეობით;

გ) „სოიუზორგუჩოტ“-ის ორგანოები სათანადო კვალიფიკაციის კადრებით და საჭირო სადგომით.

3. დაევალოს ამიერკავკასიის ყველა უწყებას და ორგანიზაციას—დაამთავროს ერთი თვის ვადაზე, ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მონაწილეობით, თავისი სააღრიცხვო აპარატის გამოყოფა და რეორგანიზაცია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 9-ის დადგენილებასთან (სსრკ კან. კრ. 1931 28 №-ი, მუხ. 221) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმავე წლის ივლისის 6-ის დადგენილებასთან (ა/კსფსრ კან. კრ 1931 წ. მე-13 №-ი, მუხ. 168) სრული შესაბამისობით; ამასთანავე, ეს აპარატი დაკომპლექტებულ უნდა იქნეს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტებით და პირველყოვლისა მასში ჩაბმული უნდა იქნენ თავისივე უწყების სააღრიცხვო დარგის მომუშავენი, რომელნიც არა თავის სპეციალობაში მუშაობენ.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—მოაწყოს 1933 წ. იანვრის 1-დან ა/კსფსრ ფარგლებში სასოფლო მომუშავეთა სააღრიცხვო ინსტიტუტი მიმდინარე აღრიცხვის წარმოებისათვის და სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე სააღრიცხვო მასალების უშუალოდ შეკრეფისათვის სააღრიცხვო-სასტატისტიკო სამუშაოთა გეგმის შესაბამისად.

ამ ინსტიტუტის შესანახად საჭირო ხარჯი მიეკუთვნოს ადგილობრივ ბიუჯეტს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჰყოს ამ ღონისძიების დაფინანსება *).

5. სახალხო მეურნეობის დიდრონი დარგებისათვის სააღრიცხვო მომუშავეთა მოსამზადებლად საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა იმ უწყებებისა და ორგანიზაციების სისტემაში, რომელთაც სჭირდებათ სააღრიცხვო საქმის მასსური კადრები, მოეწყოს სააღრიცხვო ტექნიკუმები, რისთვისიც საჭირო სახსარი გათვალისწინებულ უნდა იქნეს 1933 წლის საკონტროლო ციფრებით.

მიენდოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან და დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე აღნიშნული ტექნიკუმების პროფილები.

6. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სწყდება საკითხი რაც დაკავშირებულია ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის უწყებებსა და ორგანიზაციებში მასსური სააღრიცხვო სტატისტიკური სამუშაოების დაყენებასთან, მოთხოვნილ უნდა იქნეს, რომ ამ სამუშაოების მექანიზირებული დამუშავების საკითხი შეთანხმებული იყოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან.

საჭიროდ იქნეს ცნობილი სახსარის გამოყოფა მექანიზირებული ანგარიშის ფაბრიკისათვის მანქანებისა და გაწყობილობის შესაძენად და ამ ფაბრიკის

---

*) მე-4 მუხლი დამტკიცებულია ა/კ. ცენ. ალმ. კ-ტის 1932 წ. ოქტომბრის 29-ის დადგენილებით.

საზრუნავი სახსარის გასაძლიერებლად. მიენდოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—განსაზღვრონ საჭირო თანხა და გაითვალისწინონ 1933 წლის ბიუჯეტით მისი დაფარვის წყაროები.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ სათანადო დადგენილებები რესპუბლიკანური უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის 1-ლი და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული საკითხების გამო.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ხვანიძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. სალარიძე.

1932 წ. ივლისის 11.
ტფილისი.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახლხო კომისართა საბჭოსი.

**208.** განჯაში „დაშქესანმშენი"-ს საინჟინერო-სატექნიკო მომუშავეთა სახლის აშენების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს „დაშქესანმშენს"—შეუდგეს განჯაში საინჟინერო-სატექნიკო მომუშავეთა სახლის აშენებას ისეთი ვარაუდით, რომ უახლოესი 5-6 თვის განმავლობაში დამთავრებულ და ექსპლოატაციისათვის გადაცემულ იქნეს იგი.

2. წინადადება მიეცეს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან—აღძრას სასწრაფო შუამდგომლობა სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის და სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა საინჟინერო-სატექნიკო მომუშავეთა სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ იქნეს რიგს გარეშე საშენი მასალის საჭირო ფონდები.

3. დაევალოს „დაშქესამშენს"—წარუდგინოს ხუთი დღის ვადაზე სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან განაცხადი სახლის მშენებლობისათვის საჭირო საშენი მასალის შესახებ.

4. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაავალოს აზერბაიჯანის სამშენებლო ტრესტს და განჯის აღმასრულებელ კო-

მიტეტს—უზრუნველჰყონ მშენებლობა საჭირო რაოდენობის ადგილობრივი სა-შენი მასალით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. ნოემბრის 21.
ტფილისი.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**209. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სამშენებლო სამუშაოთა საწარმოო და სატარიფო ნორმირების მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირის ლიკვიდაციის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სამშენებლო სამუშაოთა საწარმოო და სატარიფო ნორმირების საუწყებათაშორისო თათბირი ლიკვიდირებულ იქნეს.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—განიხილონ საკითხი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან ნორმირების თათბირების არსებობის მიზანშეწონილობის თაობაზე და, უკეთუ თათბირების არსებობა საჭიროდ იქნება ცნობილი, განიხილონ საკითხი ამ თათბირების დაფინანსებისა და ფუნქციების შესახებ.

3. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის შტატებისა და სტრუქტურის განხილვის დროს—შეამოწმოს, საჭიროა თუ არა მშენებლობის სექტორის მოწყობა, ამ სექტორში სამშენებლო სამუშაოთა საწარმოო და სატარიფო ნორმირების ფუნქციების თავმოყრით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. ნოემბრის 21.
ტფილისი.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**210.** **ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის არბიტრაჟის შენახვისათვის საჭირო სახსარის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის არბიტრაჟის შესანახად საჭირო ხარჯები მიეკუთვნოს იმ სახსარს, რაც დაგროვდება სამეურნეო ორგანოების მიერ არბიტრაჟში სასარჩელო განცხადებებისა და საჩივრების შეტანის დროს გადასახდევინებელი განსაკუთრებული გამოსაღებით.

2. გამოსაღების რაოდენობას და მისი შეტანისა, შენახვისა და ხარჯვის წესს განსაზღვრავს ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. ნოემბრის 21.
ტფილისი.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**211.** **ტყავნედლეულის დამზადების გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.**

ტყავნედლეულის სასაქონლო გამოსავალის გადიდებისა, ადგილობრივ ჩარჩენის შემცირებისა, თვისების გაუმჯობესებისა და ნედლეულით ტყავის მრეწველობის უზრუნველყოფის მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. სექტემბრის 7-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 67 №-ი, მუხ. 407), ადგენს:

1. მიენდოს ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს:

ა) მოაწყოს 1933 წ. იანვრის 1-დე საკოლმეურნეო ბაზრებზე ფარდულების ქსელი—არა ნაკლებ 80 ცალისა მთლად ა/კსფსრ-ში—ტყავის ფეხსაცმელისა, სასარაჯო და საქურქე ნაკეთობის შემხვედრი ვაჭრობისათვის; ამასთა-

ნავე, ეს ნაკეთობა პირველ რიგში უნდა მიეყიდოს კოლმეურნეებსა და ტყავნედლეულის ჩამბარებელ ინდივიდუალურ მეურნეებს;

ბ) მოაწყოს მიღმეულ პუნქტებში მოძრავი კარვები ნედლეულის ძირითადი დამმზადებლებისა, რომლებიც ეწევიან ტყავის საქონლის ვაჭრობას და ამავე დროს ტყავნედლეულის დამზადებას;

გ) მოაწყოს ტყავნედლეულის ძირითადი დამმზადებლების მიერ კოლმეურნეთაგან და ინდივიდუალურ მეურნეთაგან ღორის ტყავისა და საქურქე ცხვრის ტყავის მიღება ტყავის ქარხნებში გადასამუშავებლად—მზაპროდუქციის დაბრუნებით და გადამუშავებისათვის სასყიდლის გადახდევინებით ამავე სახის ნედლეულად.

გადასამუშავებლად მიღების წესს და სასყიდლის რაოდენობას და გადახდის პირობებს განსაზღვრავს ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

2. კვლავ დადასტურებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წ. მარტის 3-ის დადგენილებით გათვალისწინებული (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. მე-9 №-ი, მუხ. 83):

ა) ყოველგვარი ტყავნედლეულის გადამუშავების—რეწაობის სახით—და და შესყიდვის აკრძალვა კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, აგრეთვე კერძო პირებისა და მათი შენაერთებისათვის,—გარდა კოოპერაციის სისტემაში შემავალი შენაერთებისა, რომელთაც, არსებული დადგენილებების თანახმად, შეუძლიანთ დაამზადონ ტყავნედლეული;

ბ) განსაზოგადოებული ფარისა და ჯოგისაგან მიღებული მთელი ტყავნედლეულის სავალდებულო ჩაბარება ძირითადი ჩამბარებლების მიერ—საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და სასოფლო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის სხვა ორგანიზაციების მიერ;

გ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პასუხისმგებლობა—ძირითადი დამზადებლების თანაბრად—ტყავნედლეულის დამზადების გეგმების შესრულებისათვის;

დ) ღორის გატყავების აუცილებლობა და ლეშის გაფუფქვისა და გატრუსვის აკრძალვა სასაკლაოში და სასაკლაო მოედნებზე.

3. მიენდოს ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—გააძლიეროს განსაზოგადოებული სექტორის იმ ჩამბარებელთა სანაცვლოდ, რომელნიც თავს არიდებენ ტყავნედლეულის ჩაბარებას ან წესიერად არ აბარებენ, წესიერად და თავაურიდებლად ჩამბარებელი საბჭოთა მეურნეობების და კოლექტიური მეურნეობების საგეგმო მომარაგება ფეხსაცმლით და ტყავეული ნაკეთობით.

4. მიენდოს ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს—განახორციელოს მე-IV კვარტალის განმავლობაში ყველა სასოფლო სამომხმარებლო კოოპერატიული საზოგადოებისა და სასოფლო სამომხმარებლო კოოპერატიული დუქნების ჩაბმა ტყავნედლეულის დამზადების საქმეში, რისთვისაც დაავალოს სარაიონო სამომხმარებლო კოოპერატიულ კავშირებს—თავის დროზე გაანაწილონ მათ შორის ტყავნედლეულის დამზადება და თავის დროზე მიაწვდინონ მათვე

ბიბლიოთეკა

ამ დამზადების გეგმები; ამასთანავე, ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს ამ გეგმების აღსრულება თვითეული სასოფლო სამომხმარებლო კოოპერატიული საზოგადოების მიერ ცალკე.

5. მიენდო ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—დაუყოვნებლივ ჩაატაროს „სოიუზზაგოტკოჟ“-ისა და სამომხმარებლო კოოპერაციის (ტყავნედლეულის ხაზით) მომუშავეების ჩარიცხვა საგეგმო მომარაგებაში სასურსათო პროდუქტებით ადგილობრივი რესურსებიდან—იმ საფუძველზე, რომ ეს მომუშავენი გათანაბრებულ იქნენ ტყავის მრეწველობაში სველზე მომუშავე ამქრებთან.

6. მიენდოს ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—გააძლიეროს ტყავნედლეულის შემგროვებლების მუშაობა ძირითად დამმზადებელთა სისტემაში და განამტკიცოს მათ მუშაობაში საზოგადოებრივი მეთოდები, კერძოდ—ტყავნედლეულის კოლექტიურად ჩაბარება.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ სასამართლო ორგანოებს სასტიკ პასუხისგებაში აძლიონ ამა დადგენილების დარღვევაში დამნაშავე პირნი, სახელდობრ ტყავნედლეულის შესყიდვისა და გადამუშავებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. ნოემბრის 2'.
ტფილისი.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**212.** **„სოიუზპლოდოოვოშჩ ტარა“-ს ამიერკავკასიის განყოფილების ლიკვიდაციის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი „სოიუზპლოდოოვოშჩ ტარა“-ს ამიერკავკასიის განყოფილების ლიკვიდაცია.

2. მიენდოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს განახორციელოს ესე დადგენილება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. ნოემბრის 21.
ტფილისი.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**213.** „სოიუზტარა“-ს ამიერკავკასიის განყოფილების ლიკვიდაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიზანშეუწონლად იქნეს ცნობილი „სოიუზტარა“-ს ფილიალიდან რეორგანიზებული „სოიუზლესოტარა“-ს ფუნქციონირება ამიერკავკასიის მასშტაბით და მოხდეს მისი ლიკვიდაცია.

2. მიენდოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან—განახორციელოს ესე დადგენილება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. ნოემბრის 21.
ტფილისი.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**214.** საბამბე კოლექტიური მეურნეობებისათვის 1932 წელს ა/კ. ტრაქტორცენტრის სისტემის მეშვეობით მიცემული ყოველგვარი საკონტრაქტაციო ავანსით დავალიანების „ზაგოტხლოპოკ“-ის სისტემის მიერ მიღების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა ფულადი საკონტრაქტაციო ავანსი, რაც 1932 წელს ტრაქტორცენტრის სისტემის მეშვეობით მიეცა ბამბისათვის კოლექტიურ მეურნეობებს და ინდივიდუალურ მეურნეობებს, გადაწერილ იქნეს „ზაგოტხლოპოკ“-ის სისტემის ანგარიშზე.

2. ის დაჭერილი საბამბე საკონტრაქტაციო ავანსები, რაც „ზაგოტხლოპოკ“-მა გადარიცხა ტრაქტორცენტრის ანგარიშზე, ამ უკანასკნელმა უნდა დაუბრუნოს „ზაგოტხლოპოკ“-ს.

3. მთელი დავალიანება კოლექტიური მეურნეობებისა ტრაქტორცენტრისადმი სატრაქტორო სამუშაოებისათვის დაიფაროს ჩვეულებრივი წესით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1933 წ. ნოემბრის 21.
ტფილისი.

# დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**215.** ამიერკავკასიის ზოგიერთი დაწესებულების და საწარმოს შტატების შემცირებისა და რეორგანიზაციისათვის შემდგომი მუშაობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. სახელმწიფო და სამეურნეო აპარატების შესანახად საჭირო სახსარის რეალური ეკონომიის გადიდებისათვის მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას:

ა) მოახდინოს ფედერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა აპარატების შტატებისა და ხარჯთაღრიცხვების მტკიცე შემცირება და აგრეთვე სტრუქტურის გამარტივება არსებული შტატების მიხედვით, უკეთუ იგი დამტკიცებულზე ნაკლებია და დამტკიცებული შტატების მიხედვით, უკეთუ იგი ფაქტიურად არსებულზე მეტია;

ბ) გაითვალისწინოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ საერთო-საკავშირო საწარმოთა ფილიალების შტატებისა და ხარჯთაღრიცხვების მტკიცე შემცირება და აგრეთვე მათი შეერთება და რეორგანიზაცია.

ეს მუშაობა ჩატარებულ იქნეს 1932 წ. დეკემბრის 15-დე და წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო წინადადებანი.

II. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—განახორციელონ ღონისძიებანი დაწესებულებათა და საწარმოთა შტატების და ხარჯთაღრიცხვების შემცირებისა და რეორგანიზაციისათვის მათი აპარატების გამარტივების მიზნით.

III. მიზანშეუწონელად იქნეს ცნობილი ქვემოაღნიშნულ დაწესებულებათა ფუნქციონირება.

### ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან:

1. ბეჭდვითი საქმის კომიტეტი, რომლის ფუნქციებიც ქაღალდის ბაზრის მოწესრიგების ხაზით გადაეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს.
2. სასტანდარტიზაციო კომიტეტი. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—მოახდინონ რესპუბლიკანური სასტანდარტიზაციო ბიუროების რეორგანიზაცია სასტანდარტიზაციო კომიტეტებად, რომელნიც იარსებებენ რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებთან.
3. ამიერკავკასიის საგამომგონებლო კომიტეტი.
4. ა/კსფსრ მთავრობის სახლის მშენებელი კომიტეტი.

### მძიმე მრეწველობის ჯგუფის ხაზით:

1. „ა/კ. სახპროექტი". მისი საპროექტო ჯგუფი სამთა-მადნო დარგის ხაზით გადაეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან—აპარატის სათანადო შემცირებით ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის განკარგულებისამებრ.

2. საამიერკავკასიო მნიშვნელობის ტრესტი „ზაკსანტეხსტროი“.

**სატრანსპორტო ორგანიზაციების ჯგუფის ხაზით:**

ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო. მისი ფუნქციები საკავშირო და ფედერატიული გზების მშენებლობის დაგეგმვის ხაზით გადაეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ხოლო მანქანების შემოზიდვის მოწყობისა და დაგეგმვის ხაზით—„ა/კ. ავტორემმომარაგება“-ს. განთავისუფლებული მომუშავენი გადაცემულ იქნენ რესპუბლიკანური გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოებისათვის. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი ლაბორატორიითურთ გადაეცეს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს.

**სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ჯგუფის ხაზით:**

1. ა/კ. ტრაქტორცენტრი და ა/კ. თივის ცენტრი. მათ სანაცვლოდ ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სტრუქტურაში მოწყობილ იქნეს ტრაქტორცენტრისა და თივის ცენტრის სექტორი.

2. „ა/კ. წყალმომარაგება“.

**საბინაო კოოპერაციის ხაზით:**

ა/კ. საბინაო კავშირი.

**სარეწაო კოოპერაციის ხაზით:**

ა/კ. სარეწაო საბჭო. მისი ფუნქციები დაგეგმვის ხაზით გადაეცეს ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას. გაძლიერებულ იქნეს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტის მუშაობა.

IV. ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კომპეტენცია შემოფარგლულ იქნეს გასაღებისა და მომარაგების დაგეგმვის ფუნქციებით.

V. მიზანშეუწონლად იქნეს ა/კსფსრ-ში ფუნქციონირება წყალთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა და აგრეთვე წყალთა სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალი ამიერკავკასიის სამდინარეო ტრანსპორტისა. რიონის ნაოსნობა გადაეცეს ფოთის პორტს. სევანის ნაოსნობა ცნობილ იქნეს სომხეთის სსრ ორგანოდ რესპუბლიკანური მნიშვნელობისა.

ზედმეტად იქნეს ცნობილი გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის აპარატი. ამ რწმუნებულის მოვალეობანი დაეკისროს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს შეთავსებით.

ამა პუნქტიდან გამომდინარე საკითხების გამო მოტივირებული შუამდგომლობა აღიძრას სათანადო საკავშირო ორგანოების წინაშე.

VI. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—განახორციელონ სათანადო საორგანიზაციო ღონისძიებანი, რისთვისაც მხედველობაში უნდა იქონიონ ლიკვიდირებულ და რეორგანიზებულ ფედერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა ფუნქციების გადაცემა ცალკეულ შემთხვევებში რესპუბლიკანური ორგანოებისათვის.

VII. დაწესებულ იქნეს, რომ 1933 წ. იანვრის 1-დე ცალკეულ და გამონაკლის შემთხვევაში იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელშიაც მოხდა შტატისა და ხარჯთაღრიცხვის შემცირება, შეუძლიან შეიტანოს ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში განსახილველად, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შემდგომი დამტკიცებით, საკითხი იმის თაობაზე, რომ შტატი და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა საკმარისი არ არის.

VIII. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—მოაწყოს კომისიები ამა დადგენილების სათანადო პუნქტების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად.

IX. დაევალოს იმ დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელთ, რომელნიც რეორგანიზებულ უნდა იქნენ შტატების შემცირებით, გამოუცხადონ ეს თანამშრომლებს ორი კვირით ადრე მათ ფაქტიურ დათხოვნამდე.

X. დაევალოს დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელთ—1933 წ. იანვრის 1-დან მტკიცედ მისდიონ მათ ხელმძღვანელობაში მყოფი ორგანიზაციებისათვის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვებსა და შტატებს; არავითარი სტრუქტურული ცვილების მოხდენა ამ ორგანიზაციებში, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ განუხილველად და შემდგომ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაუმტკიცებლად, არ შეიძლება.

XI. დაწესებულ იქნეს, რომ, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ წინასწარი განხილვისა და შემდგომ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცების გარეშე, არ შეიძლება ა/კსფსრ ტერიტორიაზე საამიერკავკასიო მნიშვნელობის მქონე ახალი ორგანიზაციის მოწყობა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს უცოდნელად—საკავშირო მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციის მოწყობა.

XII. დაევალოს იმ დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელთ, რომლებშიაც მცირდება შტატები, წარუდგინონ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს დასათხოვნი თანამშრომლების სია.

XIII. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა გეგმაშეწონილად უნდა გაანაწილოს დასახელებული თანამშრომელნი სამუშაოზე.

XIV. სახელმწიფო ორგანოებისა და სამეურნეო ორგანოების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განთავისუფლებული ფართობი მუნიციპალიზირებულ შენობებში გადაიცეს მთლად ტფილისის საქალაქო საბჭოს განკარგულებაში.

XV. ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკემბრის 1-თვის მოხსენება ამა დადგენილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსრულების მსვლელობის შესახებ, ხოლო მთელი მუშაობა უნდა დაამთავროს არა უგვიანეს 1932 წ. დეკემბრის 20-სა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 ნოემბრის 21.
ტფილისი.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**216. ოთხფეხი საქონლის ცენტრალიზებული წესით დამზადების მსვლელობისა და 1932 წლის მეოთხე კვარტალის გეგმის აღსრულების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, აღნიშნავს-რა, რომ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში ოთხფეხი საქონლის დამზადების ტემპები მეოთხე კვარტალის განმავლობაში აშოძრავებულია არასაკმარისად და, კვარტალურ გეგმასთან შეფარდებით, გამოიხატება-რა:

| | აზ. სსრ | სომხ. სსრ | საქ. სსრ | ა/კსფსრ |
|---|---|---|---|---|
| ნოემბრის 1-თვის | 24% | 36% | 17% | 24% |
| „ 15 | 35% | 41% | 25% | 32%, |

როდი უზრუნველჰყოფს დამზადებათა კვარტალური გეგმისა და მომარაგების გეგმების აღსრულებას,—ადგენს:

1. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაუყოვნებლივ შეამოწმონ ოთხფეხი საქონლის დამზადების მსვლელობა და იხმარონ მთელი რიგი ღონისძიებანი გეგმის აღსრულების უზრუნველსაყოფად; თანაც მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება:

ა) სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ვალდებულებათა და აგრეთვე „1932 წ. მე-IV კვარტალისა და 1933 წლისთვის ხორცეულის დამზადების გეგმის შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების („ზარია ვოსტოკა" 1932 წ. ნოემბრის 30-სა) განხორციელებისათვის დამტკიცებული ინსტრუქციების ადგილობრივ ენებზე დაბეჭდვას,—ისე, რომ ეს ვალდებულებები და ინსტრუქციები, არა უგვიანეს სამი დღის ვადისა დაბეჭდვის დღიდან, მიწვდენილ იქნეს ყველა რაიონამდე და სასოფლო საბჭომდე, თანაც შეივსოს და ჩაბარდეს ხორცის ყველა ჩამბარებელს;

**შენიშვნა.** იმ რესპუბლიკებში, სადაც, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის მიღებამდე, დაბეჭდილ და წარგზავნილ იქნა საერთო-საკავშირო ინსტრუქცია,—იმავე სამი დღის ვადაზე წარიგზავნება რაიონებსა და სასოფლო საბჭოებში ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული დამატებანი და ცვლილებანი ამ ინსტრუქციისა;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ჩაბმას რაიონებში ოთხფეხი საქონლის დამზადების კამპანიისათვის აქტიური ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევის საქმეში და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ პერსონალურად პასუხისმგებელ პირთა გამოყოფას;

გ) პასუხისმგებელ ამხანაგთა გამოყოფას რაიონებში გასაგზავნად, რათა მათ ადგილებზე ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი კამპანია, მოაწყონ და შეამოწმონ მიცემული დირექტივების აღსრულება და ჩააბან ამ მუშაობაში აგრეთვე ბამბის მოსავლის აღების კამპანიისათვის მობილიზებული ამხანაგები;

დ) სარაიონო, სარაიონთაშორისო და სადგურებთან და კომბინატებთან მდებარე ბაზისების მომზადების შემოწმებას და უზრუნველყოფას—ჩამბარებლებისაგან ოთხფეხი საქონლის მიღებისა, ნორმალურად შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის; სადგომებით, საკვებით, მომზადებული პერსონალით, ინვენტარით—განსაკუთრებულად სასწორებით—უზრუნველყოფას; სამომხმარებლო კოოპერაციის სასოფლო და სარაიონო ქსელის მომზადებას—ოთხფეხი საქონლის ნაცვლად ჩაბარებული ფრინველის მიღებისა და ტრანსპორტირებისათვის, აგრეთვე ოთხფეხი საქონლისა—იმ რაიონებსა და რესპუბლიკებში, სადაც ცენტრალიზებული წესით ოთხფეხი საქონლის დამზადება დაკისრებული აქვს სამომხმარებლო კოოპერაციას;

ე) ყველა საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმისა და საბჭოთა მეურნეობის მიმაგრებას და მიწერას სადგურებთან მდებარე „ზაგოტსკოტის“ ბაზისებზე ოთხფეხი საქონლის ჩაბარებისათვის (გარდა იმ საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისა, რომელნიც რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატების მიერ განთავისუფლებულ არიან უშუალო ჩაბარებისაგან სადგურებთან მდებარე „ზაგოტსკოტას“ ბაზისებისათვის);

ვ) ადგილობრივი პრესის ფურცლებზე დამზადების კამპანიის მსვლელობისა და ტემპების სისტემატიურად გაშუქებას, ამ მუშაობაში მუშათა და სოფლის კორესპონდენტების მასსის ჩაბმით;

ზ) „ზაგოტსკოტას“ სარაიონო რგოლეულების მიერ, ერთი დღის შემდეგ მორიგი ხუთდღიურის გასვლისას, სატელეგრაფო ანგარიშების გაგზავნას სექტორალური ხაზით—ცოცხლადი წონით მიღებული და ჩაბარებული ყოველგვარი ოთხფეხი საქონლის და ფრინველის შესახებ, ხოლო „ზაგოტსკოტას“ რესპუბლიკანური კონტორების მიერ—ორი დღის შემდეგ ხუთდღიურის გასვლისას—ა/კსფსრ სახალხო მომარაგების კომისარიატში და „ა/კ. ზაგოტსკოტაში“ რესპუბლიკანური სატელეგრაფო ჯამლების წარდგენას იმავე დეტალიზაციით; ესევე ცნობები სარაიონო ხაზით იმავე დროს უნდა გაიგზავნოს ფოსტით;

ეროვნული ბიბლიოთეკა



თ) სასოფლო საბჭოს შემოწმებას და უზრუნველყოფას ჩამბარებელთა ვალდებულებების აღრიცხვის საქმის დაყენებით, აგრეთვე ყველა სასოფლო საბჭოში თვითეული მეურნეობის მიერ კვარტალურ დავალებათა აღსრულების რეგისტრაციის საქმის დაყენებით; ამასთანავე თვითეულ სოფელში და თვითეულ ფერმაში დეკადური დავალება უნდა განისაზღვროს ისეთი ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კვარტალური გეგმის აღსრულება 1932 წ. დეკემბრის 31-თვის;

ი) ოთხფეხი საქონლის არაპირიან ჩამბარებლებისათვის დადგენილი რეპრესიების შეფარდების შემოწმებას.

2. აეკრძალოს „ზაგოტსკოტას" მიმღებ აპარატს და სათანადო შემთხვევაში სამომხმარებლო კოოპერაციას—ჩამბარებლებისაგან საშუალოზე ნაკლები სისუქნის ოთხფეხი საქონლისა და დაწესებულ ზღვრულ წონაზე ნაკლები წონის მქონე მოზარდი საქონლის მიღება; დაევალოს „სოიუზმიასოს" მიიღოს ხოლმე ჩამბარებელ პარტიაში გარეული არასაკონდიციო ოთხფეხი საქონელი და მოზარდი საქონელი აუცილებლად განსაკუთრებული აქტების შედგენით და ამ აქტების მომარაგების სახალხო კომისარიატში წარგზავნით (ასლი „ზაგოტსკოტას"), რათა დამნაშავენი დაუყოვნებლივ მიცემულ იქნენ პასუხისგებაში.

ასეთივე წესი უნდა შეუფარდონ სადგურებთან მდებარე „ზაგოტსკოტას" ბაზისებმა საბჭოთა მეურნეობების მიერ ჩასაბარებლად მირეკილ არასაკონდიციო საქონელს.

3. ამიერკავკასიის პერიოდულმა ბეჭდვითი ორგანოებმა უნდა გააშუქონ თავიანთ ფურცლებზე ოთხფეხი საქონლის დამზადების ახალი მეთოდების ორგანიზაციისა და შთანერგვის საკითხები, ამ კამპანიის მსვლელობა და ოთხფეხი საქონლის ჩაბარების გეგმებისა და დავალებების აღსრულება.

4. მოსმენილ იქნეს არა უგვიანეს დეკემბრის 10-სა ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მოხსენება ამა დადგენილების აღსრულების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. ნოემბრის 25.
№ 502.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია ,,ზარია ვოსტოკას" 277 №-ში 1932 წ. ნოემბრის 30-ს.

# დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**217.** **იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც უზრუნველჰყოფს ა/კსფსრ სახალხო სამეურნეო გეგმის აღსრულებას 1932 წლის მე-IV კვარტალში და სამომზადებლო მუშაობას 1933 წლის გეგმისთვის—ამ ღონისძიებათა დაკავშირებით 1932 წლის გეგმის პირველი სამი კვარტალის აღსრულებასთან, სამუშაო ხელფასის ფონდების გადამეტებით დახარჯვასთან და სხვადასხვა საწარმოში ზედმეტი მუშა-ძალის ყოლასთან.**

მიუხედავად წარმოების დონის საერთო ამაღლებისა, წარსულ წელთან შედარებით, მაინც საგეგმო დავალებათა სისტემატიურად არასავსებით შესრულება სახალხო მეურნეობის ყველა ნაწილში სერიოზულ საფრთხეში აყენებს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის აღსრულებას.

მრეწველობის წლიური საწარმოო პროგრამმა 1932 წლის 9 თვის განმავლობაში შესრულებულია სულ 55,8%-ით; სამშენებლო—კრედიტების გამოყენების ნაწილი—56%-ით; ცალობითი ბრუნვის გეგმა 9 თვეში შესრულებულია 86,5%-ით. სასოფლო მეურნეობის სფეროში საგეგმო დავალებანი შესრულებულია სისტემატიურად არასავსებით რიცხვობითი და თვისებითი მაჩვენებლების ხაზით და უაღრესი მნიშვნელობის მქონე სასოფლო-სამეურნეო კამპანიები მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად, თუმცა-კი ისეთი დონით, რაც აღემატება წარსული წლის დონეს.

აღნიშნული დეფექტების ძირითადი ფაქტორებია ნაკლოვანებანი შრომისა და წარმოების პროცესის სფეროში და განსაკუთრებით საორგანიზაციო-სატექნიკო ხასიათის მოუგვარებლობა თვით საწარმოებში.

მუშა-ხელის დეფიციტი სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში—მაშინ, როდესაც სხვა დარგებში იგი ზედმეტი იყო; არასაკმარისად გაშლა მუშაობისა მუშების მოგროვების საქმის მოწყობისათვის; მუშა-ძალის დენადობა, რაც გამოწვეულია ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი გათანაბრობით, შრომის ორგანიზაციის ნაკლით და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობისა და მომარაგების დეფექტებით; საქონელგამტარებელი ქსელის არაგარკვეული მუშაობა, აგრეთვე მუშაობის სისუსტე ტექნიკური ნორმირებისა და შინასაქარხნო დაგეგმვის ხაზით. ნამდვილი სამეურნეო ანგარიშის არასაკმარისად შთანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და, როგორც ყველა ამის შედეგი, თვითღირებულების გადიდება და შრომის ნაყოფიერების შეუსაბამობა საგეგმო ვარაუდთან— ასეთია მთავარი მიზეზები საგეგმო დავალებათა არასავსებით აღსრულებისა.

ამისდაშესაბამისად და 1933 წლის გეგმის აღსრულებისათვის საჭირო მომზადების მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს მრეწველობის სახალხო კომისარიატებს და სამეურნეო ორგანოებს:

ა) დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშა-ძალის განწესებას წარმოებაში—ისე, რომ დარჩენილი დროისათვის იგი შეესაბამებოდეს საწარმოო პროგრამის მოთხოვნათ და აღსრულების ფაქტიურ მსვლელობას;

ბ) დააჩქარონ საწარმოთა მთელი სატარიფო-სანორმირო მუშაობის რეორგანიზაცია, რასაც საფუძვლად დაუდევან სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს და სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის ა/წ. ივლისის 13-ის დადგენილება;

გ) გადასინჯონ დამნორმელთა შტატი საწარმოებში კადრების შემდგომი რიცხვობითი და თვისებითი გაძლიერების თვალსაზრისით;

დ) უზრუნველჰყონ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ტექნიკური ნორმირების დისციპლინის სწავლება;

ე) გააძლიერონ საწარმოებში საგეგმო-ოპერატიული ჯგუფების მუშაობა და გადააქციონ ისინი ძირითად უჯრედებად ქვედა შინასაქარხნო დაგეგმვის მოგვარებისა და განხორციელებისათვის;

ვ) უზრუნველჰყონ სახალხო კომისარიატების ხაზით ხელმძღვანელობა საგეგმო-ოპერატიული ჯგუფების მუშაობისათვის—სახალხო კომისარიატების საგეგმო განყოფილებების შედგენილობაში სპეციალური უჯრედების გამოყოფით, რომელნიც გაუწევენ გამგებლობას ქვედა ხასიათის დაგეგმვას;

ზ) დააწესონ მაგარი კონტროლი საწარმოებში ნედლეულისა, დამხმარე მასალისა, სათბობი მასალისა და სხვა მისთ. ხარჯვისათვის, განსაკუთრებით ზედნადები ხარჯებისათვის.

2. ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა უნდა გააძლიეროს მუშაობა ზედმეტი მუშა-ძალის გამორკვევისათვის კოლექტიურ მეურნეობებში და ახსნა-განმარტებითი კამპანიისათვის გარე-სამუშაოზე გასვლის თაობაზე; ხამეურნეო ორგანოებმა უნდა განამტკიცონ საწარმოთა მომგროვებელი აპარატი.

3. მიენდოს ა/კ. სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—მოაგვაროს, სათანადო სახალხო კომისარიატებთან ერთად, ფართო მოხმარების საგნების წარმოების აღრიცხვა.

4. სამეურნეო ორგანოებმა და პროფესიონალურ კავშირთა ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ მუშათა მომარაგების საკითხების შესახები უმაღლესი სადირექტივო ორგანოების მინიშნებათა რეალიზაცია, კერძოდ:

ა) მიაქციონ უაღრესი ყურადღება სასოფლო მეურნეობის პროდუქტების დამზადების ფართოდ გაშლას დახურულ მუშათა კოოპერატივებსა და მუშათა სასადილოებში და დამხმარე სასოფლო სამეურნეო საწარმოთა მოწყობას ფაბრიკებსა და ქარხნებთან—სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სექტემბრის დადგენილების საფუძველზე;

ბ) იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი საბინაო მშენებლობისათვის 1933 წელს გადადებული კრედიტების გამოსაყენებლად.

5. მიენდოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, მოაწყონ, ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად, ერთი დეკადის ვადაზე, სპეციალური ბრიგადები საწარმოთათვის დახმარების გასაწევად სამრეწველო-საფინანსო გეგმის აღსრულებისა, შრომის ორგანიზაციისა, სამუშაო ხელფასის გარდაქმნისა და ტექნიკური ნორმირების გაუმჯობესების საქმეში.

6. მიღებულ იქნეს ცნობად ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის განცხადება, რომ შრომის ორგანოებმა უკვე იხმარეს სათანადო ღონისძიებანი შენიშნულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ, აგრეთვე, რომ შრომის ორგანოებმა და სამეურნეო ორგანიზაციების სათანადო ხელმძღვანელებმა უკვე დაადეს სადისციპლინო გადასახდელი სამეურნეო საწარმოთა მთელ რიგ ხელმძღვანელებს სამუშაო ხელფასის ფონდების გადახარჯვისათვის.

7. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მომმარაგებელ ორგანიზაციებს— იხმარონ სასწრაფო ღონისძიებანი გამოყოფილი ფონდირებული საშენი მასალისა, გაწყობილობისა და სხვა მისთ. განწესების რეალიზაციისათვის.

8. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, მომარაგების სახალხო კომისარიატისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალმა სამშენებლო ორგანიზაციებმა, ადგილობრივი და არადეფიციტიანი საშენი მასალით საშენებელთა უზრუნველყოფის მიზნით, უნდა დააჩქარონ საშენი მასალის მწარმოებელ დამხმარე საწარმოთა და საქმის-მკეთებელ ეზოთა მოწყობა.

9. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა:

ა) უნდა მიაქციონ უაღრესი ყურადღება კოლექტიური მეურნეობებისა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების შემდგომ საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებას, განსაკუთრებით შრომის ორგანიზაციისა, საკოლმეურნეო საწარმოო ბრიგადის განმტკიცებისა და შემოსავლის განაწილების საკითხებს;

ბ) დაუყოვნებლივ უნდა იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის აღსრულებისათვის და აგრეთვე ბამბის მოსავლის თავის დროზე აღებისა და შემსყიდველ პუნქტებში ჩაბარებისათვის;

გ) უნდა იხმარონ საჭირო ღონისძიებანი საზამთრო მებოსტნეობის გეგმის აღსრულებისათვის მიმდინარე საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს.

10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—გადასინჯოს ტრაქტორისტების სამუშაო ხელფასის განაკვეთები სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ოქტომბრის 23-ის თარიღისა და 1630 №-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 74 №-ი, მუხ. 453).

11. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა წარმოადგინოს საგაზაფხულო თესვის კამპანიის გაშლილი გეგმა მიმდინარე წლის დეკემბრის 15-თვის.

12. წინადადება მიეცეს ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს, „ა/კ. ვაჭრობას“ და სხვა მოვაჭრე ორგანიზაციებს—გააძლიერონ მეთვალყურეობა საქონლის ბრუნვის დაჩქარებისათვის და პასუხისგებაში აძლიონ საქონლის ბრუნვის დაგვიანებასა და დადგენილ ლიმიტებზე ზედმეტი საქონლის ნაშთთა გადიდებაში დამნაშავე პირნი.

13. წინადადება მიეცეს მომარაგების საქმისათვის სპეციალურად გამოყოფილ აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეებს, მათი პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რადი პასუხისმგებლობით, მოახდინონ საქონლის „დაბრონირებისა“ და სიების მიხედვით განაწილების ლიკვიდაცია, რამაც თავი იჩინა სინამდვილეში.

რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა თვალყური ადევნოს ამა დადგენილების ასრულებას.

14. მიენდოს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში, ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მონაწილეობით, შეამოწმოს მრეწველობის საბითუმო ბაზისების მუშაობა და წარუდგინოს ორი დეკადის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას მოხსენება სათანადო ღონისძიებითურთ.

15. ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის, „ა/კ. ვაჭრობისა“ და ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს სისტემის საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების შემცირების მიზნით გადიდებულ იქნეს იმ ფართო მოხმარების საქონლის მოცულობა, რაც წინ უნდა დახვდეს კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელი ინდივიდუალური მეურნეების მიერ მოზიდულ სასოფლო-სასაქონლო პროდუქციას.

16. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა იხმარონ ღონისძიებანი საკონვენციო ბიუროების მუშაობის გაძლიერებისათვის და საქონლის იმ ფასად დამზადების მოსპობისათვის, რაც საკონვენციო ფასს აღემატება.

17. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას—მოისმინოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება იმ ღონისძიებათა შესახებ, რამაც უზრუნველ უნდა ჰყოს ზამთარში ოთხფეხი საქონელი საჭირო საკვებით და სადგომებით, ხოლო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულმა აღსრულების შემმოწმებელმა კომისიებმა უნდა მოისმინონ იმავე ვადაზე მეცხოველეობის ტრესტების სათანადო მოხსენებანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგაძოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. ნოემბრის 29.
ტფილისი.

# დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**218. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო ლიკვიდირებულ იქნეს.

წყალთა მეურნეობის დაგეგმვისა და კონტროლის ფუნქციების განხორციელებისათვის მოეწყოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან წყალთა მეურნეობის სექტორი, რომელსაც ამავე დროს დაეკისროს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა და აგრეთვე სარესპუბლიკათაშორისო სისტემის უშუალო ხელმძღვანელობა.

ა/კ. წყალთა მეურნეობის წყალ-სატექნიკო საბჭო დატოვებულ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან.

2. ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს სალიკვიდაციოდ მოწყობილ იქნეს სალიკვიდაციო კომისია შემდეგი შედგენილობით:

თავმჯდომარე—ამხ. ბირიუშევი.

წევრები—ამხანაგნი ბიტ-ლაზარი და პალად-ზადე.

თავისი მუშაობა კომისიამ უნდა დაამთავროს ორი დეკადის ვადაზე.

3. დიდრონი საირრიგაციო ობიექტების ხაზით გამოკვლევებისა და პროექტირებისათვის დატოვებულ იქნეს „ზაკგიპროვოდ"-ი (ყოფ. „ზაკვოდპროიზ"), როგორც საერთო-საკავშირო ორგანიზაცია, რომელიც ექვემდებარება წყალთა მეურნეობის მთავარ სამმართველოს და მოქმედობს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით.

4. წყალთა მეურნეობის ინჟენერთა განჯის ინსტიტუტი, რომელიც სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის მთავარ სამმართველოს გამგებლობაშია, დაექვემდებაროს საადმინისტრაციო-სამეურნეო ხაზით უშუალოდ აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს; დაეკისროს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—გაანაწილოს კადრები, რომლებიც უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებს ათავებენ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. ნოემბრის 29.
ტფილისი.

# დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**219. „სოიუზპლოდოოვოშჩ"-ის ამიერკავკასიის კონტორის ლიკვიდაციის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1 „სოიუზპლოდოოვოშჩ"-ის ამიერკავკასიის კონტორა ლიკვიდირებულ იქნეს და ყველა მისი სამეურნეო-ოპერატიული ფუნქცია ხილბოსტნეულის დამზადებისა, გადამუშავებისა და მომარაგების სფეროში გადაეცეს „სოიუზპლოდოოვოშჩ"-ის რესპუბლიკანურ ორგანოებს.

2. „სოიუზპლოდოოვოშჩ"-ის რესპუბლიკანური კონტორები რეორგანიზებულ იქნენ ხილბოსტნეულის მრეწველობის ტრესტებად—მათთვის მთელი ქონების გადაცემით პასსივ-აქტივითურთ 1932 წ. ოქტომბრის 1-ის ბალანსის თანახმად.

3. დაწესებულ იქნეს, რომ ხილბოსტნეულის მრეწველობის აღნიშნული რესპუბლიკანური ტრესტები შედიან „სოიუზპლოდოოვოშჩ"-ის სრულიად საკავშირო შენაერთის შედგენილობაში და ოპერატიულ-საფინანსო ხაზით ექვემდებარებიან ამ შენაერთის გამგეობას.

საერთო დაგეგმვისა და რეგულირების ხაზით აღნიშნული ტრესტები ექვემდებარებიან სათანადო რესპუბლიკის მომარაგების სახალხო კომისარიატს.

4. მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის შედგენილობაში სპეციალური ხილბოსტნეულის სექტორი (5 კაცის შედგენილობით)—ა/კსფსრ-ში ხილბოსტნეულის დამზადების და გადამუშავების და ხილბოსტნეულით და გადამუშავებული პროდუქტებით მომარაგების საერთო დაგეგმვის და რეგულირების საქმის განსახორციელებლად.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—მოაწყოს სალიკვიდაციო კომისია ამხ. მელქუმიანის თავმჯდომარეობით.

დაეკისროს სალიკვიდაციო კომისიას—გაანაწილოს ხილბოსტნეულის მრეწველობის რესპუბლიკანურ ტრესტებს შორის „სოიუზპლოდოოვოშჩ"-ის ა/კ. კონტორის ძირითადი და საბრუნავი სახსარი, ინვენტარი და სხვა ქონება.

ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა ორი დღის-ვადაზე უნდა წარმოადგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატში ლიკვიდაციის წესის დებულების პროექტი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. ნოემბრის 29.
ტფილისი.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**220.** სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალად გადაკეთების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განცხადებულ იქნეს თანხმობა სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ა/წ. ივლისის 15-ის დადგენილებაზე სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილილად გადაკეთების შესახებ.

2. დაეკისროს მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალს ა/კსფსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა ყოველმხრივი და სისტემატიური შესწავლა მასში მოსახლე ხალხთა ისტორიული ცხოვრების პროცესში (ისტორია, მატერიალური კულტურა, ეტნოგრაფია და სხვა მისთ.) და მოაწყოს ამ შესწავლის ამოცანების გარშემო თავის სისტემაში სათანადო სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ქსელი.

3. წინადადება მიეცეს სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალს—როგორც თავის განყოფილებებთან, ისე სხვა სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებთან ურთიერთობის დამყარების დროს—გამოიყენოს აზერბაიჯანის განყოფილების გამოცდილება.

4. მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების, ორგანიზაციების და ძალების კონსოლიდაციისა და მათთან მეცნიერებათა აკადემიის კავშირის განმტკიცების მიზნით ეთხოვოს აკადემიის პრეზიდიუმს—მოაწყოს ამიერკავკასიაში 1933 წელს მეცნიერებათა აკადემიის საგაზაფხულო სესსია.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაავალოს ტფილისის საქალაქო საბჭოს—უზრუნველჰყოს საჭირო სადგომებით სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ამიერკავკასიის ფილიალში მუდმივი მუშაობისათვის მივლინებული სამეცნიერო დარგის მომუშავენი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. ნოემბრის 29.
ტფილისი.

## დადგენილება ა-კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**221.** **სათბობი და საცხები მასალით ა/კსფსრ სატრაქტორო მეურნეობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სათბობი და საცხები მასალით საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სატრაქტორო მეურნეობის დაუცადებლად მოუმარაგებლობის შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად:

1. დაევალოს სამომხმარებლო კოოპერაციას და „აზნევტეტორგ"-ს—იქონიონ თავიანთ სანავთო ბაზისებზე სათბობი მასალისა და საცხები ზეთის მუდმუდმივი გარდამავალი მარაგი ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა ამ ბაზისებზე სათბობი მასალის მისაღებად მიწერილი სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის არა ნაკლებ, ვიდრე 3 კვირის განმავლობაში.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული მარაგის შესაქმნელად წინადადება მიეცეს:

ა) ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს,—ტრაქტორცენტრთან, „აზნევტეტორგთან", სამომხმარებლო კოოპერაციის ა/კ. კავშირთან და ა/კ. რკ. გზების დირექციასთან ერთად,—ზედმიწევნით განსაზღვროს ერთი დეკადის ვადაზე თვითეული ცალკე სანავთო ბაზისის 3 კვირის მარაგის რაოდენობა და ტევადობა და აგრეთვე ამ მარაგის შექმნის წესი;

ბ) ა/კ. რკ. გზების დირექციას—გამოჰყოს ა/წ. დეკემბერში და მიაყენოს „აზნევტეტორგის" მინიშნებით სათბობი მასალის ჩასასხმელად და საცხები ზეთის დასატვირთად საჭირო რაოდენობის ცისტერნები და ვაგონები იმ ნორმის ზედმეტად, რაც დანიშნულია სათბობი მასალის და საცხები ზეთის გეგმიანი გადაზიდვისათვის ა/წ. დეკემბერში;

გ) „აზნევტეტორგს"—წარგზავნოს სანავთო ბაზისებში სათბობი მასალა და საცხები ზეთი ისეთი რაოდენობით, რაც მოდის თვითეულ რაიონზე სამი კვირის მარაგის სახით, და აღნიშნოს გასატანებელ დოკუმენტებში, რომ ეს რაოდენობა დანიშნულია სამი კვირის მარაგის შესაქმნელად;

დ) სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორას—მისცეს სამომხმარებლო კოოპერაციას დამატებითი კრედიტები აღნიშნული გარდამავალი მარაგის ღირებულების გადასახდელად.

3. ზეთის არაკეთილთვისებიანობით გამოწვეული მოტორების ავარიების თავიდან ასაცილებლად დაევალოს მომმარაგებელ ორგანიზაციებს—დააკმაყოფილონ ტრაქტორების გამომყენებლნი იმ ხარისხისა და მარკის ზეთით, რაც აღნიშნულია მათ განაცხადებში.

„აზნევტეტორგმა" უნდა წარგზავნოს სათანადო თვისების და ასსორტიმენტის ზეთი; ამასთანავე, ამა თუ იმ ცალკეული მარკის შეცვლა შეიძლება მხოლოდ ისეთი მარკით, რაც „ორგსმაზკა"-ს მიერ ცნობილია უწყებულ სეზონში შეცვლისათვის ვარგისად.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—„აზნევტეტორგთან“ და სამომხმარებლო კოოპერაციის ა/კ. კავშირთან ერთად—შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე საკითხი საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში ნახმარი ზეთის გამოყენების წესის შესახებ და სათანადო დადგენილების პროექტი წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსძებნონ 40.000 მან. 1932 წლის გაზაფხულში სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე შეზიდული 21 ცალი 45-ტონიანი ცისტერნის დადგმის დასაჩქარებლად; აქედან: აზრბაიჯანის სსრ-კამ—30.000 მან., სომხეთის სსრ-კამ 2.000 მან. და საქართველოს სსრ—კამ-8.000 მან.

ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულმა საშენი მასალის გამნაწილებელმა კომისიამ უნდა გამოჰყოს საჭირო რაოდენობის მილები, ფიტინგები და არმატურა აღნიშნული ცისტერნების გასაწყობად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. ნოემბრის 29.
ტფილისი.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**222. ა/კსფსრ-ში საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.**

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ა/კსფსრ ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციების გადასინჯვასთან და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კატეგორიულად აიკრძალოს, დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობით, სტრუქტურის ცვლილებისა და დამტკიცებული შტატების და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვების გადიდების მოხდენა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან წინასწარ შეუთანხმებლად და შემდგომ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაუმტკიცებლად.

2. დაწესებულ იქნეს, რომ ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ წინასწარი განხილვისა და შემდგომ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცების გარეშე ა/კსფსრ ტერიტორიაზე არ

შეიძლება მოწყობილ იქნეს საამიერკავკასიო მნიშვნელობის მქონე ახალი ორგანიზაცია და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს უცოდინელად—საკავშირო მნიშვნელობის მქონე ორგანიზაცია.

3. კატეგორიულად აეკრძალოს საამიერკავკასიო და საკავშირო მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციებს, რომელნიც ა/კსფსრ ტერიტორიაზე არიან, მომუშავეთათვის რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების მიერ სათანამდებობო ჯამაგირების სქემებში გათვალისწინებულ განაკვეთებზე მეტი სასყიდლის მიცემა.

სპეციალისტებისათვის შრომის სახალხო კომისარიატების სქემებში გათვალისწინებულ განაკვეთებზე მეტი სასყიდლის მიცემა შეიძლება მხოლოდ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის წინასწარი სანქციით.

4. შეთავსებით მუშაობის საკითხის მოწესრიგებისათვის წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის და საკავშირო ორგანოების ხელმძღვანელთ—წარუდგინონ სამი დღის ვადაზე ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს ცნობები იმ მომუშავეთა შესახებ, რომელნიც შეთავსებით მუშაობენ, და ამიერიდან, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის წინასწარი სანქციის გარეშე, აღიკვეთოს შეთავსება.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოსცენ ანალოგიური დადგენილება რესპუბლიკანური ორგანოებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. დეკემბრის 9.
ტფილისი.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**223.** ა/კსფსრ სასოფლო მეურნეობაში აღრიცხვის საქმის გაუმჯობესების შესახებ.

აღნიშნავს-რა სასოფლო მეურნეობის აღრიცხვის სამუშაოთა ფრიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და მათი ქვემდებარე ორგანიზაციების ხაზით, რაც საგეგმო და ოპერატიულ ორგანიზაციებს შესაძლებლობას უსპობს წარმატებით შეადგინონ სასოფლო მეურნეობის გეგმები, ხოლო სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებს—დაამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარონ მეთვალყურეობა გეგმის აღსრულებისათვის,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენდოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) დაუყოვნებლივ გარდაქმნას თავისი და თავისი ქვემდებარე ორგანოების ხაზით სასოფლო მეურნეობაში აღრიცხვის სამუშაოები სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მინიშნებების კვალობაზე;

ბ) გააძლიეროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისათვის საორგანიზაციო და საპროგრამო ხელმძღვანელობის გაწევა;

გ) დაამყაროს მჭიდრო კავშირი საკავშირო და საამიერკავკასიო მნიშვნელობის მქონე საბჭოთა მეურნეობების შენაერთებთან და გააძლიეროს ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა მათი მუშაობისათვის აღრიცხვისა და ანგარიშგების ხაზით;

დ) დაევალოს საკავშირო და საამიერკავკასიო მნიშვნელობის მქონე ყველა საბჭოთა მეურნეობების შენაერთს—გააუმჯობესოს მუშაობა აღრიცხვისა და ანგარიშგების ხაზით და თავის დროზე შეადგინოს ხოლმე საბჭოთა მეურნეობების წლიური ანგარიშები—ამ ანგარიშებისა და აგრეთვე მთლად საბჭოთა მეურნეობების შენაერთის ჯუმლობითი ანგარიშის აუცილებლად ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსათვის წარდგენით.

2. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ხაზით პერიფერიების ორგანიზაციულად განმტკიცებისათვის და საადგილ-მამულო ორგანოების სარაიონო ინსპექტორების შტატების სასწრაფო დაკომპლექტებისათვის;

ბ) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—დაამყარონ მჭიდრო კავშირი რესპუბლიკანურ ცენტრებთან და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებთან და გააძლიერონ ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა აღრიცხვისა და ანგარიშგების ხაზით მუშაობისათვის;

გ) დაავალონ რესპუბლიკანურ ტრესტებსა და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს—გააუმჯობესონ მუშაობა აღრიცხვისა და ანგარიშგების ხაზით, თავის დროზე შეადგინონ ხოლმე ცალკეული საბჭოთა მეურნეობების წლიური ანგარიშები და მთლად ტრესტის წლიური ანგარიში და ასლები წარუდგინონ ხოლმე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოებს;

დ) გამოსცენ დადგენილებანი—ყველა საბჭოთა მეურნეობასა, კოლექტიურ მეურნეობასა და სასაქონლო ფერმაში სპეციალურ პირთა გამოყოფის შესახებ საღრიცხვო სამუშაოების წარმოებისათვის და პასუხისმგებლობა საბჭოთა მეურნეობაში აღრიცხვის საქმის დაყენებისათვის დააკისრონ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, ხოლო კოლექტიურ მეურნეობებში—კოლექტიურ მეურნეობათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობების თავმჯდომარეებს; აგრეთვე გამოსცენ დადგენილებანი—ყველა რაიონში სააღრიცხვო-საკონტროლო კომისიის მოწყობის თაობაზე „ნათესი ფართობებისა და მოსავლის აღნუსხვის შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 8-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. მე-15 №-ი, მუხ. 117).

3. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—აღძრას სსრკ-ის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა 1933 წელს ა/ფსფსრ-ში დაყენებულ იქნეს საკონტროლო სამუშაოების საქმე (მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების დაზომვა, მოსავლის სამეურნეო და ბიოლოგიური გაზომვა) და იგი სათანადოდ იქნეს დაფინანსებული.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შაჱერდოვი.**

1932 წ. ნოემბრის 29.
ტფილისი.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

### 224. საბამბე რაიონებში გადაზიდვათა პერიოდისათვის გზების მზადყოფნის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს წარმომადგენლის ამხ. მარკოვისა და „სოიუზტრანს"-ის წარმომადგენლის ამხ. პოპოვის მოხსენებანი და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ეფენდიევის თანამოხსენება—სრულიად საკავშირო კომუნსიტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. აგვისტოს 8-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ, სახელდობრ იმ ნაწილისა, რაც ეხება საბამბე რაიონების გზების ისეთ მდგომარეობაში მოყვანას, რომ ბამბის გადასაზიდად გამოდგეს,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

1. სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის უაღრესი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილება,—რომლითაც „სოიუზტრანს"-ის და გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ორგანოებსა და საბამბე რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს ეკისრებათ—დაამთავრონ საბამბე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამპანიის წარმატებანი ისე, რომ უზრუნველჰყონ ბამბის თავის დროზე საბამბე ქარხნებში მიზიდვა,—სრულდება არადამაკმაყოფილებლად.

2. ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველომ (ამხ. მელიქიანი) როდი უზრუნველჰყო ალჯაბედ—ნაჯაფ—ყული—ბეილისა, ევლახ-ნავთსაყუდისა და ბარდა—ტერტერის გზების თავის დროზე რემონტის მოხდენა და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ეცნობა, რომ საკითხი აღძრულია აღსრულების შემმოწმებელ კომისიაში (ა-წ. ოქტომბრის 20), გაგზავნა ტექნიკური პერსონალი ადგილობრივ.

3. „სოიუზტრანს"-ის ა/კ განყო-ბამ (მმართ. ამხ. ორჯონიკიძე) არ შეასრულა ავტორანსპორტით ბამბის გადაზიდვის ვალდებულება, რის გამოც მტკვრის ნაპირზე, ევლახის სადგურიდან 2 კილომეტრზე, დაგროვდა 5.000 ტონნაზე მეტი ბამბა.

4. ბარდის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. ახუნდოვმა გამოიჩინა სრული გულგრილობა თავის დროზე ბამბის გამოზიდვის მოწყობის საკითხისადმი.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსს ამხ. მელიქიანს გამოეცხადოს საყვედური. წინადადება მიცეს ამხ. მელიქიანს, ამხ. ორჯონიკიძესთან („სოიუზტრანს"-ი) ერთად, უზრუნველჰყოს დეკემბრის 1-თვის ალჯაბედ—ნაჯაფ—ყული ბეილისა და ბარდა—ტერტერის უბნებში გზების გაყვანა და პირველ რიგში—ევლახ—ნავთსაყუდის გზისა.

2. "სოიუზტრანს"-ის ა/კ. განყ. მმართველს ამხ. ორჯონიკიძეს მიენიშნოს, რომ მან არ იზმარა თავის დროზე ღონისძიება გადაზიდვის მოწყობისათვის ჭაპანზიდვის ტრანსპორტით იქ, სადაც ავტოტრანსპორტი არ გამოდგებოდა. დაევალოს ამხ. ორჯონიკიძეს—მოახსენოს ა-წ. დეკემბრის 1-ლს აღსრულების შემმოწმებელ კომისიას ბამბის გადაზიდვის საქმეში მიღწეული გარდატეხის შესახებ.

3. გამოეცხადოს საყვედური ბარდის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ახუნდოვს ბამბის თავის დროზე გადაზიდვის ამოცანისადმი გულგრილობის გამოჩენისათვის.

4. მიენდოს ა/კ. მუშითა და გლეხთა ინსპექციას (პერსონალურად ამხ. ეფენდიევს) წარუდგინოს ერთი თვის შემდეგ ა/კსფს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას მასალები სხვა საბამბე რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. აგვისტოს 8-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი თ. მელნიკოვი.

1935 წ. ოქტომბრის 29.
ტფილისი.

# შეცდომის გასწორება

1) ა/კსფსრ კანონთა კრებულის 1932 წლის მე-20 №-ის 161 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ლიტერში დაბეჭდილია: „კონტროლი და მეთვალყურეობა გაუწიოს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით....“

უნდა იყოს: „კონტროლი და მეთვალყურეობა გაუწიოს, რესპუბლიკანური სამალარიო კომიტეტების მეშვეობით....“

2) იმავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ლიტერში დაბეჭდილია: „მოსთხოვოს ყველა უწყებას, ორგანიზაციას და დაწესებულებას საანგარიშო სტატისტიკური მასალა....“

უნდა იყოს: „მოსთხოვოს ყველა უწყებას, ორგანიზაციას და დაწესებულებას საანგარიშო და სტატისტიკური მასალა...“